



ტესტი ისტორიაში

2016 იანვარი

ინსტრუქცია

თქვენს წინაშე ისტორიაში პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდის ტესტის ბუკლეტი და პასუხების ფურცელი.

ტესტი ამოწმებს მასწავლებლის საგნობრივ კომპეტენციასა და საგნის სწავლების მეთოდოლოგიას.

ყურადღებით გაეცანით ტესტის დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი. ყოველ შეკითხვას კონკრეტულად და ამომწურავად უპასუხეთ.

პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე.

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!

პასუხების ფურცლის გაკვეცვა დაუშვებელია!

ტესტის ბუკლეტში არსებული ცარიელი ადგილები შეგიძლიათ გამოიყენოთ შავი სამუშაოსათვის!

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 70.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენს მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გასურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. რატომ ეწოდა კუნძულ კრეტაზე აღმოჩენილ უძველეს ცივილიზაციას მინოსური?

- ა. მითოლოგიური ურჩხულის დამამარცხებელი გმირის საპატივსაცემოდ
- ბ. მთავარი ქალაქის სახელწოდებიდან გამომდინარე
- გ. კუნძულზე გავრცელებული ღვთაების სახელწოდების მიხედვით
- დ. ლეგენდარული მეფის სახელის გამო

2. რომელი ძველი დედაქალაქის ნანგრევებია აღბეჭდილი ფოტოზე?



- ა. ათენის
- ბ. ბაბილონის
- გ. პერსეპოლისის
- დ. მემფისის

3. ვინ გაატარა ძველ რომში კალენდრის რეფორმა?

- ა. მარკუს ავრელიუსმა
- ბ. იულიუს კეისარმა
- გ. ანტონინე პიუსმა
- დ. კონსტანტინე დიდმა

4. რა რეფორმა განახორციელა დიოკლეტიანემ?

- ა. დააწესა ტეტრარქია
- ბ. აღადგინა სენატი
- გ. შემოიღო კერპთაყვანისმცემლობა
- დ. გააუქმა ტრიუმვირატი

5. რა იყო ქართველთა და სომეხთა შორის საეკლესიო განხეთქილების მიზეზი?

- ა. სომხური ეკლესიის მიერ ირანის რელიგიური პოლიტიკის წინააღმდეგ გალაშქრება
- ბ. ქართლის სამეფო კარზე მაზდესანი ქურუმების მოღვაწეობა
- გ. სომხური პოლიტიკური ელიტის მიერ ბიზანტიის იმპერატორის მხარდაჭერა
- დ. ქართული ეკლესიის მიერ დიოფიზიტური აღმსარებლობის შენარჩუნება

6. რატომ ჰქონდა X საუკუნეში ქართული სამეფო-სამთავროებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ბრძოლას „ქართლსა ზედა“?

- ა. შიდა ქართლის დაუფლება მისი სამხედრო-სტრატეგიული მდებარეობის გამო მნიშვნელოვანი იყო უპირატესობის მოსაპოვებლად
- ბ. ქართლის სამეფო სათავეში ედგა საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლას და სამთავროებისთვის მასთან გამკლავება აუცილებელი იყო
- გ. შიდა ქართლში მდებარე სახელმწიფო ცენტრებს, რუსთავისა და თბილისის დაკავება უკვე ჰეგემონობის მოპოვების ნიშანი იყო
- დ. ქართლის სამეფოს ბაგრატიონები მართავდნენ, ამიტომ მათთან ბრძოლაში მიღწეულ წარმატებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა


7. ბიზანტიის რომელი იმპერატორის დახმარებას აპირებდნენ IV ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეები?

- ა. მიხეილ პალეოლოგის
- ბ. ალექსი კომნენოსის
- გ. ისაკ ანგელოსის
- დ. რომანოზ დიოგენეს

8. რა საკითხი გადაწყდა „ვორმსის კონკორდატის“ გაფორმებით?

- ა. რაინდული ორთაბრძოლის გამართვის ცერემონიალის
- ბ. ერთიანი საზომ-საწონი ერთეულების სისტემის
- გ. საქალაქო კომუნების უფლება-მოვალეობების
- დ. ეპისკოპოსების დანიშვნის წესის

9. ვისი მეთაურობით ჩატარებული საზღვაო ექსპედიციის მარშრუტის ფრაგმენტია ასახული რუკაზე?



- ა. ბართოლომეო დიაშის
- ბ. ენრიკე ზღვაოსნის
- გ. ვასკო და გამას
- დ. ამერიგო ვესპუჩის

10. რომელი თანამედროვე სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარეობს ფოტოზე გამოსახული ისტორიული ქალაქის ნანგრევები?



- ა. მექსიკის
- ბ. პერუს
- გ. გვატემალას
- დ. კოსტა-რიკის

11. რა იქცა ლივონიის ომის დაწყების მთავარ მიზეზად?

- ა. პეტრე დიდის სურვილი, მოეპოვებინა საზღვაო გასასვლელი ევროპისკენ
- ბ. რეჩ-პოსპოლიტას ჩამოყალიბება, რაც საფრთხეს უქმნიდა რუსეთის ინტერესებს
- გ. ივანე მრისხანეს მიზანი, მოეპოვებინა გასასვლელი ბალტიის ზღვაზე
- დ. შვედეთის მიერ ბალტიისპირეთის დაკავება

12. რომელი სახელმწიფოს ძლიერების ხანაა ასახული რუკაზე?




- ა. დიდი მოგოლების იმპერიის
- ბ. თემურიანთა სახელმწიფოს
- გ. ღაზნევიანთა საყაენოს
- დ. სეფიანთა სახელმწიფოს

13. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ მისცა ბიძგი ჰოლანდიის რევოლუციას?

- ა. განმანათლებლურმა იდეებმა
- ბ. პროტესტანტიზმის გავრცელებამ
- გ. თავისუფლების დიდმა ქარტიამ
- დ. ასწლიანი ომის შედეგებმა

14. აშშ-ს ისტორიის რომელ ეპოქას უკავშირდება ფერწერულ ტილოზე გამოსახული სიუჟეტი?



- ა. სამოქალაქო ომის
- ბ. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის
- გ. ამერიკის კოლონიზაციის
- დ. შეერთებული შტატების შექმნის

15. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ გამოიწვია საფრანგეთში მესამე რესპუბლიკის შექმნა?

- ა. მოქმედი პრეზიდენტის გადადგომამ
- ბ. პარიზის კომუნის გამარჯვებამ
- გ. პრუსიასთან ომში დამარცხებამ
- დ. ბურჟონების ტახტიდან ჩამოგდება

16. რა იქცა 1918 წელს რუსეთის ახლადარჩეული დამფუძნებელი კრების გარეკვის მიზეზად?

- ა. დამფუძნებელმა კრებამ უარი განაცხადა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის რატიფიცირებაზე
- ბ. დამფუძნებელ კრებაზე აპირებდნენ მონარქიის აღდგენის საკითხის დაყენებას
- გ. დამფუძნებელმა კრებამ მენშევიკების ხელისუფლებაში მოსვლა უკანონოდ ცნო
- დ. დამფუძნებელ კრებაში ბოლშევიკებმა ვერ შეძლეს უმრავლესობის მოპოვება

17. რომელი ვალდებულება არ აქვდა საქართველოს მთავრობას 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებით?

- ა. განაიარაღოს და რუსეთს გადასცეს საბჭოთა ხელისუფლებასთან მეზობელი პირები და ჯგუფები
- ბ. გაათავისუფლოს საბჭოთა რუსეთისა და კომპარტიის სასარგებლო საქმიანობისათვის დასჯილი პირები
- გ. მოახდინოს კომუნისტური პარტიის ლეგალიზაცია
- დ. მიანიჭოს ავტონომიის სტატუსი აჭარასა და აფხაზეთს

ინსტრუქცია

ქრონოლოგიურად (უძველესიდან უახლესისაკენ) დაალაგეთ ისტორიული მოვლენები და პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღნიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

18. ქრონოლოგიურად დაალაგეთ კარლოს დიდის მოღვაწეობასთან დაკავშირებული მოვლენები:

1. ლანგობარდების სამეფოს განადგურება
2. იმპერატორად კურთხევა
3. ლაშქრობა ესპანეთში

19. რა თანმიმდევრობით დაიპყრეს მონღოლებმა ჩამოთვლილი ქვეყნები:

1. ჩრდილოეთ ჩინეთი
2. ჩრდილოეთ ირანი
3. ხორეზმი

20. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ლიტერატურული ნაწარმოებები მათში აღწერილი ეპოქების მიხედვით:

1. ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“
2. ერიხ-მარია რემარკის „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“
3. ვიქტორ ჰიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოტანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. ყველა კითხვას გაეცით სრული და ამომწურავი პასუხი. დავალების მაქსიმალური ქულაა 15.

21. გრაფ ვიტეს მოხსენება

თქვენმა საიმპერატორო უმაღლესობამ დამავალა გამეკეთებინა მოხსენება რუსეთში დღეისათვის არსებული ვითარებისა და მთავრობის სამოქმედო გეგმის შესახებ.

იმ არეულობების მიზეზად, რომელმაც მოიცვა რუსეთის საზოგადოების სხვადასხვა ფენები, არ შეიძლება მივიჩნიოთ სახელმწიფოსა და სოციალური მოწყობის ცალკეული ხარვეზები, ან მხოლოდ რადიკალური პარტიების მოქმედებები. ამ არეულობის ფესვები გაცილებით ღრმაა. დაირღვა წონასწორობა რუსეთის საზოგადოების მოაზროვნე ნაწილის იდეურ მისწრაფებებსა და ცხოვრების გარეგნულ ფორმებს შორის. რუსეთმა არსებული წყობილების ფარგლებში ამოწურა განვითარების შესაძლებლობა. ის სამოქალაქო საზოგადოების ბაზაზე დაყრდნობილი სამართლებრივი წყობილებისკენ მიისწრაფის.

მთავრობის პირველი ამოცანა უნდა იყოს სამართლებრივი წყობილების ძირითადი ელემენტების განხორციელება: პრესის, სინდისის, შეკრებების, კავშირების თავისუფლება და პირადი ხელშეუხებლობა. პოლიტიკური ცხოვრების ამ მნიშვნელოვანი ელემენტების განმტკიცება უნდა მოხდეს ნორმალური საკანონმდებლო გზით და კანონის წინაშე თქვენი უდიდებულესობის ყველა ქვეშევრდომის, ეროვნებისა და აღმსარებლობის მიუხედავად, თანასწორობის საკითხის გადაწყვეტის პარალელურად. თავისთავად ცხადია, რომ მოსახლეობისათვის სამოქალაქო უფლებების გადაცემას თან უნდა სდევდეს მისი მოქცევა კანონიერ ჩარჩოებში, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოქალაქეთა უფლებები და სახელმწიფოს სიმშვიდე და უსაფრთხოება.

მთავრობის შემდეგი ამოცანა უნდა იყოს იმ სახის სტრუქტურებისა და საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც შეესაბამება რუსული საზოგადოების უმრავლესობის პოლიტიკურ იდეას და ამავე დროს, საზოგადოებას უნდა აძლევდეს ბოძებული სამოქალაქო თავისუფლებების ხელშეუხებლობის გრანტიას. ეს ამოცანა სამართლებრივი წესრიგის შექმნამდე დაიყვანება. სახელმწიფოში სიმშვიდისა და უსაფრთხოების დამკვიდრების მიზნით მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს მოსახლეობის ფართო ფენების საკეთილდღეოდ. რა თქმა უნდა,

სამოქალაქო და საკუთრების იმ უფლებების დაცვით, რომლებიც აღიარებულია კულტურულ ქვეყნებში.

ზოგადად ჩამოყალიბებული ამ მიზნების განხორციელება მოითხოვს მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ბაზისა და ადმინისტრაციული მოწყობის შექმნას. პრინციპების დეკლარირებისა და საკანონმდებლო ბაზის შექმნიდან მის დანერგვამდე გარკვეული პერიოდია საჭირო. საზოგადოებაში სამართლებრივი პრინციპები იმდენად ხორციელდება, რამდენადაც მოსახლეობა ეჩვევა და ითავისებს მათ. არცერთ მთავრობას არ ძალუძს მოამზადოს 135 მილიონიანი, მრავალეროვანი, დიდი ადმინისტრაციული აპარატის მქონე და სხვა საფუძვლებზე აღზრდილი საზოგადოება სამართლებრივი ჩვევების სწრაფი აღქმისა და გათავისებისათვის. აი, რატომ არის არასაკმარისი ხელისუფლების მიერ მხოლოდ სამოქალაქო თავისუფლებების ლოზუნგის გაცხადება. სახელმწიფოში წესრიგის დასამყარებლად საჭიროა შრომა, უდრეკი ნება და თანმინმდევრულობა.

ყოველივე ამის განსახორციელებლად საჭირო პირობაა მთავრობის შემადგენლობის ერთგვაროვნება და ერთიანობა. მაგრამ სამინისტროებმაც კი, რომლებიც დაკომპლექტებული იქნებიან პოლიტიკური თანამოაზრეებით, დიდი ძალისხმევა უნდა გასწონ, რათა ყველა მოხელემ შეითვისოს და გაითავისოს ახალი იდეა. მთავრობის საზრუნავი უნდა იყოს სამოქალაქო თავისუფლების მთავარი სტიმულების პრაქტიკული დანერგვა. ვითარება ხელისუფლებისაგან მოითხოვს მეთოდებსა და ხერხებს, რომლებიც ყველას დაანახებენ მის გულწრფელობასა და განზრახვის პირდაპირობას. ამ მიზნის განსახორციელებლად მთავრობის ურყევი პრინციპი უნდა იყოს ჩაურევლობა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში. მომავალ სახელმწიფო სათათბიროსთან ურთიერთობაში მთავრობის საზრუნავი უნდა იყოს: მხარი დაუჭიროს სათათბიროს პრესტიჟს და ენდოს მის საქმიანობას.

მთავრობა არ უნდა იყოს სათათბიროს გადაწყვეტილებების მოწინააღმდეგე ელემენტი, რადგან ეს გადაწყვეტილებები, ალბათ, არ იქნება წინააღმდეგობაში რუსეთის დიდებასა და ძლევამოსილებასთან, რომელიც საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა.

მთავრობა თქვენს მიერ სახელმწიფო სათათბიროს შესახებ გამოცემული მანიფესტის იდეის გამზიარებელი უნდა იყოს. დებულება სათათბიროს შესახებ შემდგომში უნდა დაიხვეწოს, მუშაობის პროცესში გამოვლენილი ხარვეზებისა და დროის მოთხოვნების შესაბამისად. მთავრობამ უნდა გამოარკვიოს და დაადგინოს ეს მოთხოვნები, ცხადია, საზოგადოებაში გაბატონებული იდეების საფუძველზე და არა ცალკეული ჯგუფების,

თუნდაც მკვეთრად გამოხატული მოთხოვნების გათვალისწინებით. რომელთა დაკმაყოფილება შეუძლებელია თუნდაც იმიტომ, რომ ისინი მუდმივად იცვლება.

მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფო საბჭოს რეფორმა, მასში არჩევითობის ელემენტის შეტანით. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი მასსა და სახელმწიფო სათათბიროს შორის ნორმალური ურთიერთობების ჩამოყალიბება.

აღარ ჩამოვთვლი იმ დანარჩენ ღონისძიებებს, რომელთა გატარებაც დამოკიდებული იქნება შექმნილ ვითარებაზე. მე ვთვლი, რომ ხელისუფლების ძალისხმევა განპირობებული უნდა იყოს შემდეგი პრინციპებით:

1. მოსახლეობისათვის სამოქალაქო თავისუფლებების ბოძებაზე საუბრისას პირდაპირობა და გულახდილობა. ამ თავისუფლებების გარანტიების დაწესება;
2. მთავრობის ყველა სტრუქტურის შეთანხმებული მოქმედება;
3. რეპრესიების შეზღუდვა იმ ქმედებათა მიმართ, რომლებიც არ ემუქრებიან სახელმწიფოსა და საზოგადოებას;
4. კანონებზე დაყრდნობით იმ ქმედებათა წინააღმდეგ აღდგომა, რომლებიც ემუქრებიან სახელმწიფოსა და საზოგადოებას.

თავისთავად ცხადია, რომ ზემოთ აღნიშნულ ამოცანათა შესრულება შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების თანადგომისა და სახელმწიფოში სიმშვიდის არსებობის პირობებში. უნდა გვჯეროდეს რუსული საზოგადოების პოლიტიკური ტაქტისა. შეუძლებელია, რომ რუსულ საზოგადოებას სურდეს ანარქია, რომელიც ყველა სხვა უბედურებასთან ერთად მას სახელმწიფოს დაშლითაც ემუქრება.

კითხვები:

- (2) 21.1. რომელ იმპერატორს მიმართავს გრაფი ვიტე და წყაროში არსებულ რა კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გააკეთეთ საკუთარი დასკვნა?
- (2) 21.2. გრაფ ვიტეს აზრით, რა წარმოადგენს რუსეთში შექმნილი არეულობის რეალურ საფუძველს?
- (1) 21.3. გრაფ ვიტეს მიერ დასახელებული მიზეზების გარდა, დაასახელეთ ერთი კონკრეტული ისტორიული მოვლენა, რომელმაც, თქვენი აზრით, ხელი შეუწყო რუსეთში არეულობას. აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.
- (1) 21.4. გრაფ ვიტეს აზრით, რის ძირითად ელემენტს წარმოადგენს პრესის, სინდისის, შეკრებების, კავშირების თავისუფლება და პირადი ხელშეუხებლობა?
- (3) 21.5. გრაფ ვიტეს აზრით, რა უშლის ხელს რუსეთის საზოგადოებას, გარდა მრავალრიცხოვნებისა, შეეწვიოს და აითვისოს სამართლებრივი ჩვევები?

(1) 21.6. გრაფ ვიტეს აზრით, რატომ არ უნდა დაეყრდნოს მთავრობა ცალკეული ჯგუფების მოთხოვნებს?

(1) 21.7. გრაფ ვიტეს აზრით, რა რეფორმა უნდა გატარდეს სახელმწიფო საბჭოსთან დაკავშირებით?

(1) 21.8. გრაფ ვიტეს აზრით, რა შემთხვევაში შეძლებს მთავრობა მის მიერ იმპერატორისათვის შეთავაზებული გეგმის წარმატებით შესრულებას?

(1) 21.9. თქვენი აზრით, რატომ თვლის გრაფი ვიტე, რომ „მთავრობის ურყევი პრინციპი უნდა იყოს ჩაურევლობა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში“?

(1) 21.10. თქვენი აზრით, შესაძლებელი იყო თუ არა გრაფ ვიტეს მიერ იმპერატორისათვის შეთავაზებული გეგმის განხორციელება იმ დროინდელ ვითარებაში? მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(1) 21.11. როგორი პოლიტიკური შეხედულებების მოღვაწე ჩანს გრაფი ვიტე წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით? მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოტანილი დავალება და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. ყველა კითხვას გაეცით სრული და ამომწურავი პასუხი. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

22. სადისკუსიო თემის განსაზღვრა

(1) 22.1. რომელი კონკრეტული თემის განხილვისას გამოიყენებდით №21 დავალებაში მოცემულ გრაფ ვიტეს მოხსენებას, როგორც ისტორიულ წყაროს?

(1) 22.2. გაკვეთილზე განსახილველი თემის უმთავრესი საკითხის გათვალისწინებით, ჩამოაყალიბეთ სადისკუსიო თემის სათაური.

(2) 22.3. ჩამოაყალიბეთ ორი ალტერნატიული პოზიცია, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას დისკუსიისას.

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოტანილი დავალება და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. ყველა კითხვას გაეცით სრული და ამომწურავი პასუხი. დავალების მაქსიმალური ქულაა 8.


23. მოცემულ რუკასთან დაკავშირებით მოსწავლეს მიეცა დავალება: გაცნობოდა რუკის ლეგენდას და გაეანალიზებინა რუკაზე არსებული ინფორმაცია. ამის შემდეგ მას დაუსვეს სამი შეკითხვა.

(2) 23.1. მოსწავლემ პირველ კითხვას - რომელი საუკუნეების ვითარებაა ასახული რუკაზე? - პასუხი ვერ გასცა. რუკაზე არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, ჩამოაყალიბეთ ორი თანმიმდევრული, კონკრეტული დავალება, რომელსაც მოსწავლეს გაკვეთილზე მისცემთ, რომ მან მართებულად უპასუხოს კითხვას.

(3) 23.2. მოსწავლემ მეორე კითხვას - ხმელთაშუა ზღვაში მდებარე რომელი კუნძულები დაიპყრო ბიზანტიამ და რომელ სახელმწიფოს ეკუთვნოდა მანამდე ეს კუნძულები? - პასუხი ვერ გასცა. ჩამოაყალიბეთ რუკასთან დაკავშირებული სამი თანმიმდევრული, კონკრეტული დავალება, რომელსაც მოსწავლეს გაკვეთილზე მისცემთ, რომ მან მართებულად უპასუხოს კითხვას.

(1) 23.3. მოსწავლემ მესამე კითხვას - რომელ ქართულ სახელმწიფოს წაართვა ბიზანტიამ ტერიტორიის ნაწილი? - უპასუხა, ქართლის სამეფოს. მართებულია თუ არა მოსწავლის პასუხი? საკუთარი მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ.

(2) 23.4. ბიზანტიის იმპერიასთან დაკავშირებული თემატიკის გარდა, კიდევ რომელი საკითხის შესწავლისას გამოიყენებდით ამ რუკას? პასუხი დაასაბუთეთ.



ინსტრუქცია

მოცემული დავალება უკავშირდება სასწავლო პროცესის დაგეგმვას. გაეცანით მოცემულ პირობას, უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. ყველა კითხვას გაეცით სრული და ამომწურავი პასუხი. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.

24. თქვენ მოცემული გაქვთ სამი სასწავლო რესურსი, რომელთაგან №3 უნდა გამოიყენოთ მხოლოდ რიგით მესამე რესურსად და სწავლების პროცესში მას დასრულებული სახე მისცეთ. თქვენი მიზანია, დაგეგმოთ №1 და №2 სასწავლო რესურსების გამოყენების თანმიმდევრობა, რომ მოსწავლეებმა შეისწავლონ საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული ერთი კონკრეტული საკითხი.

მაშინ მოუწოდეს სპათა იმერთა და ამერთა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. ჯარი ჯავახეთს შეიკრიბა. დავით სოსლანმა ლაშქარი ბასიანისაკენ დაძრა, რამეთუ სურდა სულთნის ლაშქარს მისსავე ბანაკში დასხმოდა თავს. სულთნის ბანაკში თვლა არა იყო კარვების, ჯორების, ცხენებისა და აქლემებისა. სულთანიც უშფოთველად იდგა. ქართველები ბანაკს რომ მიუახლოვდნენ, ლაშქარი საბრძოლოდ განაწყვეს: მოწინავე რაზმს სათავეში ჩაუდგინა ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი, შალვა და ივანე ახალციხელები. მის ერთ მხარეს აფხაზ-იმერელი დადგნენ, მეორე მხარეს კი - ამერელი. სულთნის ბანაკს დარაჯები არ უდგნენ, მაგრამ როცა კი მოახლოებული უცხო ლაშქარი დაინახეს, სულთნის ლაშქარიც შეიჭურვა, ცხენებს შემოახტნენ და საბრძოლოდ დაეწყვნენ. ატყდა ომი ფიცხელი და ძლიერი. ივანე მსახურთუხუცესს, ზაქარია გაგელს, შალვა და ივანე ახალციხელებს და სხვებს ცხენები მოუკლეს. მამაცი ქართველები ქვეითად დარჩნენ. მეზრძოლებმა ქვეითად მყოფი თავიანთ-თავიანთი მეთაურები რომ დაინახეს, ცხენებიდან ჩამოხტნენ და გვერდით დაუდგნენ. შემდეგ სწრაფად შეუტიეს სულთნის ლაშქარს ერთი მხრიდან დავით სოსლანმა, ხოლო მარჯვენა მხრიდან - ზაქარია მხარგრძელი. პირველივე შეტაკებაზე მოხედა წყალობით დავით მეფეს ღმერთმა და მტრის ესოდენი სიმრავლე უცბად შეირყა, იძლია და დაიფანტა. ქვეითად მყოფი ქართველებიც ცხენებს შემოახტნენ და დაღამებამდე დევნიდნენ მტერს.


რესურსი N 1



მნატვარი ლადო
გუდიაშვილი

"საკადრისი პასუხი"

რესურსი N2



(1) 24.1. დაასახელეთ საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული კონკრეტული ბრძოლა, რომელსაც შესწავლას დაგეგმავდით მოცემული რესურსების გამოყენებით ერთი გაკვეთილის განმავლობაში?

(2) 24.2. განსაზღვრეთ გაკვეთილის მიზანი

ა) რა ცოდნა უნდა შეიძინონ მოსწავლეებმა გაკვეთილზე?

ბ) რომელი ერთი კონკრეტული სასწავლო უნარ-ჩვევის განვითარებას შეეცდებით მოსწავლეებში?

(2) 24.3. დაასახელეთ ზემოთ აღნიშნული რესურსებიდან ერთი, რომელსაც გამოიყენებთ გაკვეთილის საწყის ეტაპზე; უპასუხეთ ა) რა მიზნით გამოიყენებთ თქვენს მიერ არჩეულ რესურსს? ბ) რა დავალებას მისცემთ მოსწავლეებს არჩეული რესურსის გამოყენებით?

(2) 24.4. დაასახელეთ რესურსი, რომლითაც გააგრძელებთ სასწავლო პროცესს. უპასუხეთ ა) რა მიზნით გამოიყენებთ თქვენს მიერ არჩეულ რესურსს? ბ) რა დავალებას მისცემთ მოსწავლეებს არჩეული რესურსის გამოყენებით?

(3) 24.5. N3 დაუსრულებელ რესურსთან დაკავშირებით უპასუხეთ ა) რა მიზნით გამოიყენებთ ამ რესურსს? ბ) რა ორ თანმიმდევრულ დავალებას მისცემდით მოსწავლეებს, რომ რესურსმა დასრულებული სახე მიიღოს?

(1) 24.6. დაასახელეთ, მოცემული რესურსების გამოყენებით, რა შემაჯამებელ დავალებას მისცემთ მოსწავლეებს გაკვეთილზევე?

ინსტრუქცია

მოცემული დავალება უკავშირდება მოსწავლის ნაშრომის შეფასებას. ამ დავალების შესასრულებლად გეძლევათ:

1) მოსწავლისათვის გასაანალიზებლად მიცემული ტექსტი (ისტორიული წყარო) თანდართული კითხვებით;

2) მოსწავლის მიერ ამ კითხვებზე გაცემული პასუხები;

3) შეფასების სქემა, რომლითაც უნდა შეაფასოთ მოსწავლის მიერ გაცემული პასუხები.

ყურადღებით გაეცანით ისტორიულ წყაროს, დასმულ შეკითხვებს და მოცემული შეფასების სქემის მიხედვით მიანიჭეთ ქულები მოსწავლის პასუხებს.

პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას.

25. ნაწყვეტი „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი თხზულებიდან¹

ვითარ ცნა მეფე რუსუდანი თათართა მოახლოება, გაეცალა ტფილისს და ქუთათისში წავიდა. მან მცველად დატოვა მუხას ძე და დაუბარა, თუ თათრები დმანისამდე მოვიდოდნენ, გადაეწვა ტფილისი, დაეტოვებინა მხოლოდ პალატა და ისანი. როცა გაიგო მუხას ძემ თათართა მოახლოება, გადაწვა მთელი ქალაქი, სასახლესთან და ისანთან ერთად. ასე აოხრდა ქალაქი ტფილისი. ნოინები შემოვიდნენ ქართლში, თრიალეთში, ჯავახეთში, სამცხეში, ანისში, შავშეთში, კლარჯეთში, ტაოში, კოლაში, არტაანში. კალიებივით მოეფინენ ირგვლივ და დაიწყეს ხოცვა-ჟლეტა; ადარსად იყო ლხინი, უმოწყალოდ ნადგურდებოდა ქვეყანა. მანდატურთუხუცესი შანშე აჭარაში გაიქცა, ამირსპასალარი ავაგი კენის ციხეში შევიდა, ვარამ გაგელი ქუთათისში გაიქცა. ჰერნი, კახნი, სომხითარ-ქართლელნი, მესხნი, ტაოელნი, თორელ-არტაან-კოლაელნი გარბოდნენ კავკასიისა და მთიულეთის ციხეებსა და მთებში, ტყეებსა და სიმაგრეებში. გაგრძელდა ქვეყნის მოსპობა და განადგურება ჩვენთვის უსჯულოების გამო. ქართველებს ან მწარე ტყვეობა ელოდათ ან უმოწყალო სიკვდილი. შებრალება არ იცოდა მტერმა.

როდესაც ქვეყანა ამ გაუთავებელმა უბედურებამ მოიგვა, ძლიერი ერისთავები განცალკევდნენ, ყველა მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავდა, რადგან მეფე რუსუდანი საფუძვლიანად დამკვიდრდა ლიხს იქით. ლიხს აქეთ ვერ გადმოდიოდა. მეფეს მხოლოდ ლტოლვილები ხედავდნენ. ქართველები არ იყვნენ ერთ მუშტად შეკრულნი და ერთსულოვანნი.

¹ „ქართლის ცხოვრება“, საეკლესიო გამომცემლობა „ახალი ივერონი“, თბილისი, 2012.

ამ ბოროტების შემყურე ავგ ამირსპასალარმა, ივანე მხარგრძელს ძემ, მოციქულები გაგზავნა ბარდავში, სადაც დაბანაკებული იყვნენ ზემოხსენებული მთავრები. ითხოვდა რა ზავს, ავგი ჰპირდებოდა: მსახურებას, ხარკის გადახდას, თავისი მამულის მათთვის დამორჩილებას. მან ითხოვა ხელშეუხებლობის ფიცი. თათრებმა სიხარულით მიიღეს ავგის მოციქულობა და თანხმობა ფიცითაც განამტკიცეს. დამშვიდდა ავგის სამფლობელო.

შეიტყო შანშე მანდატურთუხუცესმა ავგისა და თათრების ზავის შესახებ, მანაც მოინდომა თავის ქვეყნის უვნებლად დაცვა, ეს კი მხოლოდ ზავით იყო შესაძლებელი. შანშემ სთხოვა ავგს, წასულიყო და ემოციქულა მისთვის თათრებთან. თათრებმა ეს მოციქულობა სიხარულით მიიღეს და დადეს უვნებლობის ფიცი. შანშეც მათ ეახლა. თუ რომელიმე ქართველი თავადი მივიდოდა, სიხარულით ღებულობდნენ, ურჩების სამფლობელოს კი მიწასთან ასწორებდნენ. ეს რომ შეიტყო ვარამ გაგელმა, დამორჩილდა ისიც მტერს და ზავით შეწყნარებული მისი სამფლობელოც დამშვიდდა.

ქალაქი ტფილისი თათრებმა იგდეს ხელთ. ამ გაუსაძლისი გასაჭირით შევიწროებული ქართველი მთავრები დაემორჩილნენ თათრებს. მესხები, რუსუდან მეფის სიყვარულის გამო არ მიემხრნენ. ამის გამო გამძვინვარებულმა ჩაღატა ნოინმა ილაშქრა სამცხეზე. მესხები ციხეში ჩაკეტნენ. მრავალი სული მოისპო სამცხეში. სხვა გზა არ დარჩა და ივანე ციხისჯვარელმა ჯაყელმა, რომელსაც ყვარყვარესაც უწოდებდნენ და რომელიც თანამდებობით მეჭურჭლეთუხუცესი იყო და ამავე დროს სამცხის მთავარიც, მოახსენა მეფე რუსუდანს, რომ ისიც აპირებდა დამორჩილებოდა ჩაღატას, რათა სამცხის ქვეყანა აოხრებისგან ეხსნა. მეფე დათანხმდა. მაშინ წავიდა ივანე და იხილა ჩაღატა, რომელმაც პატივით მიიღო.

რუსუდან მეფემ დაინახა, რომ ქვეყნის აღმოსავლეთი თათრებმა დაიპყრეს. მან გადაწყვიტა, გაეგზავნა თავისი ძე დავითი და დაემორჩილებინა ის თათრებისთვის იმ პირობით, რომ არაფერს ავნებდნენ.

დაბრუნდა მეფე რუსუდანი ტფილისში და თავისი ძე დავითი ნოინთა წინაშე წარადგინა. ხოლო მათ იწებეს მისი წარვლენა დიდ ყაენ ბათოსთან და ყარაყორუმში, მანგუ ყაენთან. რა შეიტყო რუსუდანმა თავისი ძის წარვლენა უცხო ერში, უცნობი გზით, ტკივილითა და მწუხარებით აღივსო. განუწყვეტლივ ცრემლთა ღვრაში იყო, იგონებდა, რა უყო თავისი ძმისწულ დავითს, როგორ გაამევა იგი. ასევე, გამევეებული, წარავლინეს თათრებმა მისი ძე ბათოსთან. რაკი აღარ იყო სხვა გზა, წავიდა დავით. რუსუდანმა თან გააყოლა რამდენიმე თანაშემწი: ქართლის ერისთავის სურამელ გრიგოლის შვილი ბეგა, გურკლელი მახუნჯაგის ძე, ბემქენ ამირეჯიბი. მიაღწიეს ზემოხსენებულ ბათოსთან, რომელმაც კეთილად ისტუმრა დავით და ორი წელი თავისთან ჰყავდა. შემდეგ კი წარავლინა

ჩინმაჩინსა და ყარაყორუმში მანგუ ყაენთან. ყაენმა კეთილგანწყობით მიიღო და ავავს შეახვედრა, რომელიც მასზე ადრე იყო იქმისული.

მეფე რუსუდანი საყვარელი შვილის გამო უზომოდ სწუხდა. დასნეულდა, ტფილისში გარდაიცვალა. მთავრებმა რუსუდანი დიდი პატივითა და გოდებით გაასვენეს, რადგან არავინ იყო დარჩენილი მეფის ნათესავთაგან.

ყველამ შეიტყო საქართველოს უმეფოდ დარჩენა. აღიძრა უამრავი მტერი ქვეყნის ასა-ოხრებლად - საბერძნეთში მყოფი თურქმანები, ეზინკის სულთანი, სხვა ქალაქში მყოფი ამირები. უწინამძღვრა ყვარყვარემ მესხთა სპას და შეებნენ ერთურთს. ორივე მხრიდან დიდძალი მეომარი დაილუპა. დამარცხდნენ ბერძნები და თურქები და გაიქცნენ.

კითხვები (რომლებზეც მოსწავლეს უნდა ეპასუხა):

- 25.1. წყაროს მიხედვით, ზუსტად შეასრულა თუ არა მუხას ძემ მეფის ბრძანება? პასუხი აუცილებლად დაასაბუთეთ ტექსტის მიხედვით.
- 25.2. წყაროში არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს, რომ მონღოლთა შემოსევისას ისტორიული სომხეთის ტერიტორიის ნაწილი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა?
- 25.3. წყაროს მიხედვით, განმარტეთ, რატომ ხედავდნენ მეფეს მხოლოდ ლტოლვილები?
- 25.4. წყაროში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რატომ იქცა ზოგიერთი ქართველი დიდებულისთვის მისაბამად ავავის საქციელი?
- 25.5. თქვენ რომ ყოფილიყავით მონღოლთა შემოსევის პერიოდის ქართველი დიდებული, მათთან ურთიერთობის რა გზას აირჩევდით და როგორ დაასაბუთებდით საკუთარ გადაწყვეტილებას?
- 25.6. დაასახელეთ წყაროში მოხსენიებული ის მონღოლი მმართველები, რომლებთანაც გაემგზავრა რუსუდანის ძე.
- 25.7. წყაროს მიხედვით, რამ გამოიწვია საქართველოზე სხვადასხვა მუსლიმ მმართველთა გამოლაშქრება?
- 25.8. წყაროს მიხედვით, დაასახელეთ ის ვალდებულებები, რომელსაც ავავ მხარგრძელი მონღოლებისგან ზავის მიღების სანაცვლოდ კისრულობდა.
- 25.9. წყაროს მიხედვით, დაასახელეთ ორი მიზეზი, რამაც მონღოლებს საქართველოს დაპყრობა გაუადვილა.
- 25.10. მემატიანის აზრით, ქვეყნის განადგურება „ჩვენივე უსჯულოების გამო“ მოხდა. რა იგულისხმება „ჩვენივე უსჯულოებაში“?

25.11. წყაროს მიხედვით, რა განასხვავებდა ყვარყვარესა და მონღოლებთან დაზავებული სხვა ქართველი დიდებულების საქციელს ერთმანეთისგან?

25.12. დაასახელეთ ტექსტში ნახსენები საქართველოს სამეფოს ცენტრალური აპარატის უმაღლესი სამოხელეო თანამდებობები.

მოსწავლის მიერ გაცემული პასუხები:

25.1. კი, რადგან გადაწვა მთელი ქალაქი

25.2. ანისი დასახლებულია საქართველოს ისტორიულ მხარეებს შორის

25.3. მეფე ვერ გადმოდიოდა აღმოსავლეთ საქართველოში

25.4. დამშვიდდა ავაგის სამფლობელო

25.5. ვიბრძოლებდი, რადგან სამშობლოს დაცვა უმთავრესი მოვალეობაა

25.6. ბათო და მანგუ

25.7. უმეფობამ

25.8. ხარკის გადახდა და საქართველოს მათდმი დამორჩილება

25.9. უმეფობა საქართველოში და ფეოდალთა განცალკევება

25.10. ქრისტიანული ცხოვრების წესების დაუცველობა

25.11. ყვარყვარემ დაზავების ნებართვა მეფეს სთხოვა

25.12. ამირსპასალარი, სამცხის მთავარი, მეჭურჭლეთუხუცესი

შეფასების სქემა, რომლითაც უნდა შეაფასოთ მოსწავლის მიერ გაცემული პასუხები:

მხოლოდ დადებითი შეფასების დაწერისას, პასუხების ფურცელში აუცილებლად გადმოწერეთ მოსწავლის პასუხი ან პასუხის ის ნაწილი, რომელიც დადებითად შეაფასეთ

0 (ნული) ქულის დაწერისას, პასუხების ფურცელში არ გადმოწეროთ მოსწავლის პასუხი

25.1.	სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით
25.2.	სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით
25.3.	სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით
25.4.	სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით
25.5.	ლოგიკური და მართებული არგუმენტი ფასდება 1 ქულით
25.6.	თითოეული პიროვნების სწორი დასახელება ფასდება 1 ქულით
25.7.	სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით
25.8.	თითოეული სწორად დასახელებული ვალდებულება ფასდება 1 ქულით
25.9.	თითოეული სწორად დასახელებული მიზეზი ფასდება 1 ქულით
25.10.	ლოგიკური და მართებული პასუხი ფასდება 1 ქულით
25.11.	სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით
25.12.	თითოეული სწორად დასახელებული თანამდებობა ფასდება 1 ქულით